პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЬТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

| | | |
|---|---|---|
| გამოცემის 37-ე წელი<br>№ 5 (10702) | კვირა, 6 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ. |


## პარტიული პროპაგანდა და რაიონული პრესა

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, ახორციელებენ რა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებისა და ახალ სასწავლო წელს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“, სერიოზულ მუშაობას ეწევიან ახალი ამოცანების შესაბამისად მთელი პროპაგანდისტული მუშაობის გარდაქმნისათვის, კადრების პოლიტიკური განათლების სერიოზულად გაუმჯობესებისათვის, პარტიის ყველა წევრის შემდგომი იდეური ზრდისა და წრთობისათვის, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში მათი აქტიურობისა და თვითმოქმედების განვითარებისათვის.

პარტიული პროპაგანდის გასაუმჯობესებლად ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ჩვენს პრესას და კიდევაც უნდა გააკეთოს. პოლიტიკური სწავლება არა მარტო პარტიული ორგანიზაციების, არამედ აგრეთვე გაზეთების მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს მთელი სასწავლო წლის მანძილზე. მაგრამ ზოგიერთი რაიონული გაზეთი ივიწყებს ამ ჭეშმარიტებას.

სიღნაღის რაიონული გაზეთი „კოლმეურნე“ პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილ მოწინავე წერილში აღნიშნავდა: „ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მომზადებულად, მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობდეს“. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ თვით გაზეთიც არა კამპანიურად, არამედ რეგულარულად გააშუქებდა თავის ფურცლებზე კომუნისტთა პარტიულ სწავლებას. მაგრამ ასე არ მოხდა. მისცა რა რამდენიმე მასალა პარტიული განათლების საკითხებზე ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეებში, გაზეთს შემდეგ მხედველობიდან გამორჩა ეს მნიშვნელოვანი თემა. განა არაფერი აქვს სათქმელი „კოლმეურნეს“ ამ საკითხზე? პარტიის სიღნაღის რაიკომის პლენუმზე, რომელიც ოქტომბრის მეორე ნახევარში გაიმართა, აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი პარტიული განათლების დარგში მიმდინარე სასწავლო წელს, კერძოდ გაკრიტიკებულ იქნა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება იმისათვის, რომ პროპაგანდისტთა სემინარები დაბალ იდეურ დონეზე ეწყობოდა, რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტი არადამაკმაყოფილებლად ეხმარებოდა პროპაგანდისტულ სამუშაოზე ახლად დაწინაურებულ ამხანაგებს და სხვ. მაგრამ ამ და პოლიტიკური განათლების სხვა საკითხებზე გაზეთს ბევრი არაფერი უთქვამს როგორც რაიკომის პლენუმამდე, ისე მის შემდეგ.

უსისტემოდ, მკრთალად აშუქებენ კომუნისტების პოლიტიკური განათლების საკითხებს აგრეთვე „ბრძოლის დროშა“ (ჩოხატაური), „სოციალისტური სოფელი“ (გეგეჭკორი) და ზოგიერთი სხვა რაიონული გაზეთი.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონული გაზეთები, რომლებიც უფრო რეგულარულად წერენ პარტიული პროპაგანდის შესახებ, მეტწილად კმაყოფილდებიან წრეების, პოლიტსკოლების, სემინარების მეცადინეობის მშრალად აღწერით. ამ თემაზე დაწერილ ბევრ წერილსა და კორესპონდენციაში ხშირად შეხვდებით ტრაფარეტულ გამოთქმებს: „მეცადინეობამ ცოცხლად და საინტერესოდ ჩაიარა“, „მსმენელებმა გამოამჟღავნეს კარგი ცოდნა“, და ა. შ. მაგრამ არ არის ახსნილი, თუ რას ნიშნავს ნამდვილად მეცადინეობის ცოცხლად და საინტერესოდ მოწყობა.

მთელი რიგი რაიონული გაზეთები ვერ ამჩნევენ და სათანადოდ ვერ ასახავენ თავიანთ ფურცლებზე პოლიტიკური განათლების თავისებურებას ახალ სასწავლო წელს, რაც იმით გამოიხატება, რომ ახლა პოლიტსკოლებში, წრეებსა და სემინარებში მეცადინეობა ეწყობა უფრო მაღალ დონეზე, როცა პროპაგანდისტები პოლიტიკურ სწავლებას თეორიის ცალკეული დებულებების დაზეპირებად კი არ აქცევენ, არამედ აწყობენ შესასწავლი მასალის შემოქმედებითად განხილვას, თეორიას მჭიდროდ უკავშირებენ პრაქტიკას, ფართოდ აბამენ მსმენელებს საუბარში.

პოლიტიკური განათლების წარმატება დამოკიდებულია პროპაგანდისტებზე, მათს თეორიულ მომზადებაზე, კონკრეტული ეკონომიკის ღრმა ცოდნაზე, პროპაგანდისტულ ოსტატობაზე. რაიონული გაზეთების უმნიშვნელოვანესი საქმეა უნარიანად გახაზოგადონ და გაავრცელონ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება. ეს მით უფრო საჭიროა ახლა, როცა პროპაგანდისტთა რიგები მნიშვნელოვნად გაფართოვდა ხელმძღვანელი კადრების — საწარმოთა დირექტორების და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, სოფლის ინტელიგენციის ხარჯზე. იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დიდი პასუხსაგები ამოცანების წარმატებით შესრულებას შეძლებენ მხოლოდ ის პროპაგანდისტები, რომლებიც ღრმად ფლობენ ეკონომიურ ცოდნას. გაზეთებმა უნდა უჩვენონ, თუ როგორ არის მოწყობილი პარტიულ ორგანიზაციებში პროპაგანდისტთა კადრების ეკონომიური სწავლება, აგრეთვე ასახონ პროპაგანდისტთა სემინარების, პოლიტიკური განათლების კაბინეტების საქმიანობა, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა პროპაგანდისტებისადმი დახმარება.

რაიონული გაზეთების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებელი სწავლება. ისინი უნდა უჩვენებდნენ, თუ როგორ ეხმარებიან პარტიული ორგანიზაციები კომუნისტებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორ ეწყობა მათთვის ლექციები, სემინარები, განსაუბრებანი, თეორიული კონფერენციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები.

უნარიანად რომ გააშუქონ პარტიული პროპაგანდის საკითხები, წარმატებით რომ გაართვან თავი იმ დიდ მოვალეობას, რაც გამომდინარეობს საბჭოთა პრესის, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული უდიდესი ამოცანებიდან, ამისათვის გაზეთის მუშაკები თვითონ დაუღალავად უნდა ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. პრესის მუშაკები უნდა იყვნენ პოლიტიკურად განათლებული, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები, ჰქონდეთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი.

ფართო პროპაგანდას უწევდნენ პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების საქმიანობას, განაზოგადებდნენ და ავრცელებდნენ პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების მუშაობის გამოცდილებას, ულმობლად აშკარავებდნენ პარტიულ სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებებს და იბრძოდნენ ამ ნაკლოვანებათა გადაჭრით გამოსწორებისათვის, პოლიტიკური განათლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის — ასეთია რაიონული გაზეთების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1957 წლის 17 მარტს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი
1957 წლის 3 იანვარი.

# ცნობა

## ბუდაპეშტში ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობათა წარმომადგენლების შეხვედრის შესახებ

უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის მიწვევით ბუდაპეშტში 1 იანვარს ჩავიდნენ წარმომადგენლები ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა ამხ. ვიოკოვი და ამხ. დამიანოვი, რუმინეთის მუშათა პარტიისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა ამხ. გეორგიუ-დეჟი, ამხ. მოგიოროში და ამხ. ბორილა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა ამხ. ხრუშჩოვი და ამხ. მალენკოვი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისა ამხ. ნოვოტნი და ამხ. შიროკი.

1-დან 4 იანვრამდე გაიმართა აღნიშნული ქვეყნების პარტიებისა და მთავრობების წარმომადგენელთა შეხვედრები, რომლებსაც დაესწრნენ: ამხ. ვიოკოვი, ამხ. დამიანოვი (ბულგარეთი); ამხ. კადარი, ამხ. მიუნიხი (უნგრეთი); ამხ. გეორგიუ-დეჟი, ამხ. მოგიოროში, ამხ. ბორილა (რუმინეთი); ამხ. ხრუშჩოვი, ამხ. მალენკოვი (სსრ კავშირი); ამხ. ნოვოტნი, ამხ. შიროკი (ჩეხოსლოვაკია).

შეხვედრების დროს ხდებოდა აზრთა ამხანაგური და მეგობრული გაზიარება პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის და პარტიული ცხოვრების მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე.

შეხვედრების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებსა და პარტიებში მდგომარეობის შესახებ.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ბულგარეთმა, რუმინეთმა, საბჭოთა კავშირმა, ჩეხოსლოვაკიამ, ისევე როგორც ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ, ახალი დიდი წარმატებები მოიპოვეს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. უნგრეთის სახალხო მეურნეობა წარმატებით ვითარდებოდა სოციალისტური გზით. მაგრამ ეს განვითარება დარღვეულ იქნა კონტრრევოლუციური ძალების გამოსვლით. ამჟამად კონტრრევოლუციის ჩახშობის შემდეგ უნგრეთის სოციალისტური ეკონომიკა მტკიცედ აძლიერებს ტემპებს და მიდის აღმავლობის გზით. განვლილ წელს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში წარმატებით შესრულდა სახალხო-სამეურნეო გეგმები, გადაიდგა ახალი ნაბიჯი წინ ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, მიღწეულია აღმავლობა კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. მოხდა ამ ქვეყნების ხალხთა შემდგომი დაახლოება თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების გარშემო მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშის ქვეშ.

შეხვედრის ყველა მონაწილე მივიდა ერთსულოვან დასკვნამდე, რომ უნგრეთის მშრომელთა ღონისძიებებით უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ჯარების დახმარებით ჩაიფუშა სახალხო-დემოკრატიული წყობილებისა და უნგრელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა მოსპობის ცდები. აღმოიფხვრა უნგრეთში ფაშისტური დიქტატურის დამყარების საფრთხე, ჩაიფუშა შინაგანი კონტრრევოლუციისა და აგრესიული იმპერიალისტური წრეების ზრახვები გადაექციათ უნგრეთი ევროპაში ახალი ომის საშიშ კერად. გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწია იმპერიალისტური წრეების ცდებს ძირი გამოეთხარათ სოციალისტური ბანაკის ერთიანობისათვის.

შეხვედრის მონაწილე კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების წარმომადგენლებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ხდება პოლიტიკური მდგომარეობისა და ეკონომიური ცხოვრების ნორმალიზაცია უნგრეთში. უნგრეთის მთელი ჯანსაღი დემოკრატიული ძალები მუშათა კლასის მეთაურობით სულ უფრო ირაზმებიან უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გარშემო, მხარს უჭერენ მათს პოლიტიკურ და ეკონომიურ ღონისძიებებს, აქტიურად გამოდიან ანტიხალხური ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც იმპერიალისტური პროპაგანდის კარნახით ეწევიან ძირგამომთხრელ პროვოკაციულ საქმიანობას მოსახლეობაში. ნორმალური შრომითი ცხოვრებით ცხოვრობს უნგრელი გლეხობა, რომელიც არ აჰყვა კონტრრევოლუციური და იმპერიალისტური პროპაგანდის პროვოკაციებს და წინააღმდეგობა გაუწია ცდებს აეღორძინებინათ წინანდელი მემამულური წესწყობილება უნგრეთის სოფელში. უნგრელ მშრომელთა ის ნაწილი, რომელიც მოტყუებულ იქნა კონტრრევოლუციის დემაგოგიური, პროვოკაციული, ნაციონალისტური ლოზუნგებით, სულ უფრო რწმუნდება ამ მოტყუებაში და ხედავს ახლა, რომ ამ მოტყუებისათვის და კონტრრევოლუციის მოქმედებისათვის მოუხდა ეზღო უნგრელი ხალხის საუკეთესო შვილების სისხლით, რომლებიც დაიღუპნენ კონტრრევოლუციური ბანდების ტერორით. უნგრეთის მშრომელები სულ უფრო რწმუნდებიან, თუ რა დამღუპველი იყო ის გზა, რომელზეც მათ უბიძგებდნენ სახალხო-დემოკრატიული წყობილებისა და სოციალიზმის საქმისადმი მტრული ძალები.

უნგრეთის მუშათა კლასმა, გლეხობამ და ინტელიგენციამ სწორად შეაფასეს უნგრეთში შექმნილი მდგომარეობა და ამოცანები, რომლებიც დგას უნგრელი ხალხისა და რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის წინაშე. უნგრეთის მშრომელებს სულ უფრო ესმით, რომ მხოლოდ წარმოების, ნორმალური ეკონომიური ცხოვრების მოგვარებას, უნგრეთის სახალხო მეურნეობის აღმავლობას, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და სახსრების დაგროვებას შეუძლია უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობის ამაღლება და სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის განმტკიცება.

აზრთა გაზიარებისას შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უნგრელ კომუნისტები სულ უფრო მჭიდროდ რაზმავენ თავიანთ რიგებს და ყოველ ღონეს ხმარობენ უნგრეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანასთან მტკიცე მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის.

ბულგარეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა აღუთქვეს უნგრელ ამხანაგებს, რომ მათი ქვეყნების ხალხები ყოველმხრივ დაუჭერენ მხარს და გაუწევენ დახმარებას უნგრეთის რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობასა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში, აგრესიული იმპერიალისტური ძალების მხრივ ხელყოფისაგან მისი დამოუკიდებლობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციის შესახებ და გამოთქვეს ერთსულოვანი რწმენა, რომ საბჭოთა მთავრობის ეს დეკლარაცია სავსებით შეესაბამება სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ინტერესებს ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობისა და მათი ინტერესების პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ლენინური პრინციპების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვის საფუძველზე.

ქვეყნების წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ დეკლარაციის დებულებები წარმატებით ხორციელდება სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობის პრაქტიკაში, რაც ხელს უწყობს სოციალისტური ბანაკის შემდგომ დაახლოებას, სოციალიზმის ქვეყნებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომ აღმავლობას, მათს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებასა და ძმური ურთიერთდახმარების განვითარებას.

საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე აზრთა გაზიარების შედეგად შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გამწვავდა საერთაშორისო ვითარება, რაც გამოწვეულია დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული წრეების მოქმედებით, რომლებიც ისწრაფვიან დაახრუნონ მსოფლიო „ცივი ომისაკენ“. ამას მოწმობს როგორც ინგლისი-საფრანგეთ-ისრაელის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, ისე იმპერიალისტური წრეების მოქმედება უნგრეთში.

საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება გამოწვეულია აგრეთვე შეერთებული შტატების მოქმედებით, რომლებიც მიმართავენ ახალ ფართო აქციებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების დაკაბალებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების ამ კოლონიალისტურ მისწრაფებათა გამოხატულებაა ეგრეთწოდებული „ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინა“. ამ „დოქტრინის“ შემადგენელი ნაწილია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განსაკუთრებული რწმუნებანი, რომ საკუთარი შეხედულებით გამოიყენოს ამერიკის შეიარაღებული ძალები ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალისა და მისი მილიტარისტული წრეების უხეში ჩარევა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეებში გამოიწვევდა მდგომარეობის ახალ სერიოზულ გამწვავებას ამ რაიონში, რომელიც ამას წინათ ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიით გამოწვეული საომარი მოქმედების ასპარეზი იყო.

მთელი პასუხისმგებლობა ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარების გამწვავებისათვის ყველა აქედან გამომდინარე შედეგით ასეთ შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკისრება. ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ინტერესები და ამ რაიონში მყუდროებისა და მშვიდობის დაცვის ინტერესები მოითხოვს იმას, რომ ყველა სახელმწიფომ მიიღოს ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის შედეგები, არ იქნას დაშვებული გარედან რაიმე ჩარევა ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა საქმეებში, მათი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შელახვა.

სოციალისტური სახელმწიფოები, განუხრელად იცავენ რა ხალხთა შორის მშვიდობის საქმეს, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ არ დაუშვან „ცივი ომისაკენ“ დაბრუნება. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გამოიყენონ სოციალისტური წყობილების ძალები და თავიანთი გავლენა იმისათვის, რომ ჩაფუშონ აგრესიული წრეების ცდები, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების შემდგომი გამწვავება, გამალებული შეიარაღების გაძლიერება, ომის ფსიქოზის გაღვივება. ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ჯერ კიდევ მთლიანად როდია გამოყენებული სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და ხალხთა ნამდვილი უშიშროების უზრუნველყოფის შესაძლებლობანი. თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა პრაქტიკულ ნაბიჯებს, მიმართულს სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისაკენ და ისეთ საშიშ დამანგრეველ სახეობათა იარაღის აკრძალვისაკენ, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღი. ევროპის ყველა ხალხის, აგრეთვე მსოფლიოს ყველა ხალხის უშიშროების ინტერესების შესაბამისი იქნებოდა ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა.

შეხვედრის მონაწილეებმა მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ყველა სოციალისტური სახელმწიფოები კიდევ უფრო მეტად დაირაზმებიან, დაიცავენ თავიანთ ერთიანობას, საკადრის პასუხს გასცემენ სოციალისტური ბანაკის შერყევისა და შესუსტებისაკენ მიმართულ ყველა ცდას.

## მეტალურგთა მიღწევები

რუსთავის მეტალურგებმა ახალი წლის პირველი დღიდანვე გააჩაღეს ბრძოლა მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქროს რიტმული მუშაობის უზრუნველყოფისათვის.

ახალი წლის პირველ დღეებში მეფოლადეებმა უკვე მოიპოვეს თვალსაჩინო წარმატებები. დაწინაურდა მარტენის პირველი ღუმელის კოლექტივი, რომელმაც იანვრის 4 დღეში 10 ჩქაროსნული დნობა განახორციელა და სახელმწიფოს 100 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ფოლადი მისცა. ცნობილი მეფოლადეები ა. ფანცულაია, გ. ბერეკაშვილი დღითიდღე ამცირებენ ფოლადის დნობის ხანგრძლივობას. მეფოლადის თანაშემწემ ნ. გულაშვილმა, რომელიც ამჟამად გამოცდილ მეფოლადეს გ. სიგუას ცვლის, 1 იანვარს თავისი პირველი დამოუკიდებელი ნადნობი 5 საათსა და 55 წუთში მოგვცა, რითაც ჩქაროსნული დნობის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

ახალი წლის პირველ დღეებში კარგ შედეგებს მიაღწიეს მილმგლინავებმა. დგან „140“-ის კოლექტივმა ოთხი დღის გეგმა 107 პროცენტით გაანაღდა. ოსტატ ა. ხრამოვის ბრიგადამ 20 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა ოთხი დღის დავალება. მას მიჰყვება ი. ისიდოროვის ბრიგადა, რომლის მაჩვენებელი 117 პროცენტს აღწევს.

ახალი წელი კარგად დაიწყეს აგრეთვე კოქსქიმიურ საამქროში. მეტალურგიული კოქსის წარმოების ოთხი დღის დავალება განაღდებულია 102 პროცენტით. მაღალნაყოფიერი შრომით თავი გამოიჩინეს უფროსმა მეკოდემ ა. ზაპაქინსკიმ, მებარელიეფემ ა. გოგიძემ და გამხურებელთა ბრიგადირმა ნ. ჯუგაიმ. საკოქსე ღუმელების კოლექტივები მუშაობენ რიტმულად, ციკლურწუთობრივი გრაფიკით და ყოველ 6-8 წუთში იძლევიან პროდუქციას.

**გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ რედაქცია — „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.**

## დიდი პურსაცხობი ქარხანა

**მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის მიწურულში სოხუმს შეემატა ახალი დიდი საწარმო—ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით აგებული პურსაცხობი ქარხანა. მშენებლებმა და მემონტაჟეებმა წარმატებით გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ ამოცანას, მაღალხარისხოვნად შეასრულეს ყველა სამუშაო და სოხუმის მშრომელებს საახალწლო საჩუქრად მიუძღვნეს ახალი პურსაცხობი საწარმო.**

**ახალი ქარხანა ხუთსართულიანია. მისი ფასადი სადად, მაგრამ მიმზიდველად არის გაფორმებული. საქარხნო კორპუსის პირველ სართულში მოთავსებულია ორცხობილას საამქრო, პურის ცხობის საამქრო და ექსპედიცია, მეორე სართულზე მოთავსებულია ცომსაზელი საამქრო, მესამეზე — გამცრელი საამქრო და ფქვილის საწყობი, მეოთხეზე— საფუარის დამამზადებელი საამქრო, მეხუთეზე — ფართო, ნათელი კლუბი.**

**პურის ქარხანა აღჭურვილია უახლესი დანადგარებით და მექანიზმებით, დაკომპლექტებულია ახლად მომზადებული მაღალკვალიფიციური კადრებით.**

**სოხუმის პურსაცხობმა ქარხანამ რამდენიმე ათეული მუშა-მოსამსახურე მოავლინა საქართველოს მოწინავე პურსაცხობ ქარხნებში გამოცდილების მისაღებად და სპეციალობის ასათვისებლად. ისინი უკვე დაბრუნდნენ სოხუმში და შეუდგნენ მუშაობას, ახალ ქარხანაში გამომცხვარი პური პირველად მისცეს სოხუმის მშრომელებს 27 დეკემბერს.**

**ფართო დერეფნები, პლაკატებით და სურათებით დამშვენებული კედლები შრომის ხალისს უძლიერებენ ახალი საწარმოს ადამიანებს. ქარხანაში გამოცდილი ძველი მუშების გვერდით ვხვდებით ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებიც აქ სიმწიფის ატესტატით მოვიდნენ, რათა პროფესიის დაუფლებასთან ერთად წარმოებისაგან მოუწყვეტლივ განაგრძონ სწავლა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. (საკ. კორ.).**

* * *



**სურათზე: ზემოთ — სოხუმის პურის ქარხნის საერთო ხედი, ქვემოთ — ქარხნის ერთ-ერთ საამქროში.**

**ფოტო გ. კვირკველიასი.**

## ნაყოფიერი შრომის შედეგი

დამთავრდა 1956 წელი, რომელიც სასიხარულო იყო ჩვენს ცხოვრებაში. ამ წელს კიდევ უფრო წინ წაიდა ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკა.

სიმინდი ჩვენთან საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 84 ცენტნერი სიმინდი (მარცვლად) ნაცვლად 30 ცენტნერისა, ხოლო რგოლის წევრმა გ. ჩიკვატიამ ერთ ჰექტარზე — 100 ცენტნერი. კარგი მოსავლით სახელი გაითქვეს აგრეთვე დ. ქვარაიამ, მ. პერაიამ, ს. ტაბაღუამ, ნ. ალფენიძემ. პირადად მე ერთ ჰექტარ ფართობს ვუვლიდი და 150 ცენტნერი სიმინდი მივიღე.

გასული სამეურნეო წელი ჩვენი რგოლისათვის წარმატების წელი იყო. მაგრამ ამით როდი ვკმაყოფილდებით. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. მიმდინარე წელს უფრო გავადიდებთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას და ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

**ქ. სანდუხაძე,**

**ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.**

### რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

# ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას — ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა

პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონულმა კონფერენციამ გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შედეგად რაიონის საწარმოებმა, მათ შორის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ, საბურთალოს აგურის ქარხანამ, ღვინის პირველმა ქარხანამ 1956 წლის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა და დელეგატებმა განაცხადეს, წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, პარტიის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად რომ სწვდებოდნენ წარმოების ეკონომიკას.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის მდივანმა დ. ჩხიკვიშვილმა და კამათში გამოსულებმა გამოააშკარავეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი, ილაპარაკეს იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც საჭიროა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს. ეს გასაგებიც არის. ორჯონიკიძის რაიონში რვა უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 15 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს, და მრავალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. პარტიის XX ყრილობის შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში საგრძნობლად გაძლიერდა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო საქმიანობა, ამაღლდა სტუდენტთა აკადემიური წარმატება, რასაც დიდად შეუწყო ხელი ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებამ.

სტუდენტთა დიდი ნაწილი ცოდნის დაუფლებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პარტიის მოწოდების პასუხად ასობით სტუდენტი გაემგზავრა ყამირ მიწებზე და იქ თავდადებული შრომის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენა. მარტო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 108 სტუდენტმა ყაზახეთში მოსავლის აღების სამუშაოებზე ერთი თვის განმავლობაში 22.900 შრომადღე გამოიმუშავა. ამ ხნის განმავლობაში სტუდეხტებმა აიღეს 120 ტონა პური, ჩადეს 30.000 ტონა სილოსი და სხვ.

აღინიშნეს რა ეს წარმატებანი, კამათის მონაწილე დელეგატებმა განაცხადეს, რომ უმაღლესი სასწავლებლების, მათი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. რაიონში ვერ ნახავთ ისეთ უმაღლეს სასწავლებელს, სადაც სტუდენტების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევა არ იყოს. ეს ძირითადად გამოწვეულია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენებით, კომკავშირული ორგანიზაციებისადმი არასაკმაო პარტიული ხელმძღვანელობით.

მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები ქმედითს ღონისძიებებს არ ახორციელებენ სტუდენტთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის. ხშირია სტუდენტების მიერ ლექციებისა და სემინარების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. გასული წლის 1 სექტემბრიდან 20 დეკემბრამდე რაიონის რვა უმაღლეს სასწავლებელში სულ 254.510-ზე მეტი საათია გაცდენილი. არის იმის ფაქტებიც, როცა ზოგიერთი კურსდამთავრებული უარს აცხადებს რაიონში სამუშაოდ წასვლაზე. სამედიცინო ინსტიტუტის 359 კურსდამთავრებულიდან დანიშნულების ადგილზე აქამდე არ გამოცხადებულა 124 კაცი.

კონფერენციაზე ითქვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული პროფესორ-მასწავლებლები მხოლოდ აკადემიური საქმიანობით კმაყოფილდებიან და განზე უდგანან სტუდენტთა ცხოვრებას, მხოლოდ ლექციების კითხვის დროს ხვდებიან ახალგაზრდობას. დელეგატთა გამოსვლებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთი პროფესორ-მასწავლებელი თავისი შვილების აღზრდისათვისაც კი არ იწუხებს თავს.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ახალგაზრდობის აღზრდის საქმე ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის კომკავშირულ ორგანიზაციაში. აქ თვეობით არ იწვევენ კომკავშირულ კრებებს, ხოლო ახალგაზრდობაში პოლიტიკურ მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. № 2 სამშენებლო სამმართველოში სავსებით ჩაშლილია კომკავშირული მუშაობა. თბილუნივერმაღის საწარმოო კომბინატის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ნ. ჩაგელაშვილი) კომკავშირს არავითარ დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევს. ზოგიერთი კომუნისტი თავს არიდებს კომკავშირელებთან, ახალგაზრდობასთან მუშაობას, რაც თავის მოვალეობად არ მიაჩნია. მაგალითად, აბანო-სამრეცხაოებისა და საპარიკმახეროების მეურნეობის ტრესტის მმართველის მოადგილე გ. ყიფიანი მოხსენებით უნდა გამოსულიყო კომკავშირულ კრებაზე, მაგრამ ამ დავალების შესრულება მას „გადაავიწყდა“.

პარტიის რაიკომის ლექტორთა ჯგუფი იშვიათად აწყობს საინტერესო ლექციებს და მოხსენებებს ახალგაზრდობისათვის. კამათის მონაწილე დელეგატებმა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის მკაცრად გააკრიტიკეს პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები და კომკავშირის რაიკომი.

— პარტიულ კრებებზე, — თქვა უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმა კ. გარდაფხაძემ, — ჩვენ ხშირად განვიხილავთ ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება ყოველთვის როდი ხდება.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორმა ი. სარიშვილმა ილაპარაკა სასწავლო-აღმზრდელობითი და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. მან თქვა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ზრუნვა სტუდენტების შრომისადმი სიყვარულის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ფანჩვიძემ მოითხოვა მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტი ახალგაზრდობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ლენინურ იდეებზე აღზრდას. საბჭოთა სტუდენტობა, — აღნიშნა მან, — უნდა აღვზარდოთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ყუფარაძემ, ვეტერინარიისა და მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ი. კვესიტაძემ, კომკავშირის რაიკომის მდივანმა რ. თუშურაშვილმა, ზოოტექნიკურ-საველეერინარო ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ი. კვაჭაძემ, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორმა მ. საკანდელიძემ, ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ფალავანდიშვილმა, საბურთალოს აგურის ქარხნის მოწინავე მუშამ ა. მხეიძემ და სხვ. დელეგატებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა შემდგომ ამაღლდეს კომკავშირის როლი უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმოდაწესებულებათა ცხოვრებაში, რისთვისაც აუცილებელია კომკავშირულ ორგანიზაციებს ყოველდღიურ პარტიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევდეთ.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ. ილაპარაკა რაიონული პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ ამოცანებზე, ამხ. მჟავანაძემ კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა უმაღლეს სასწავლებლებში პარტიულ-პოლიტიკური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის, აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია დ. ჩხიკვიშვილი, მეორე მდივნად — ე. ღლონტი, მდივნად — მ. დანელია.

ა. გოცირიძე.

**თბილისი.** ჩარხშემკეთებელ ქარხანა „დაზგაში“ ბევრმა მოწინავე ადამიანმა ისახელა თავი 1956 წლის გეგმების შესრულებაში. ერთი მათგანია ხარატი ვ. კოუუხოვსკი, რომელიც 1958 წლის ანგარიშში მუშაობს. **სურათზე:** ვ. კოუუხოვსკი თავის სამუშაო ადგილზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ზესტაფონში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ზესტაფონში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის მეხუთე სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. დელეგაციას მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგანი ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ლი მინი.

შორაბანის რკინიგზის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი გ. არეგაძე, მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბერაძე, ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი ინჟინერი ვ. მელაძე და სხვები.

ზესტაფონის რაიონის მშრომელებმა ჩინელ მეგობრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

დელეგაციამ დაათვალიერა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, გაეცნო ქარხნის წამყვანი საამქროების მუშაობას და ლითონის დნობის ტექნოლოგიურ პროცესებს.

### გაზეთების ფურცლებზე

# ხალხთა მეგობრობის უძლეველი დროშით

ახალქალაქის რაიონში მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები და სომხები შეადგენენ. ისინი მეგობრულად, ხელიხელჩაკიდებული შრომობენ რაიონის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, მატერიალური დოვლათის გადიდებისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახალქალაქის რაიონული გაზეთი **„ოქტომბრის დროშით“** მრავალ საინტერესო მასალას ბეჭდავს ხალხთა მეგობრობის თემაზე. ამას წინათ გაზეთში დაიბეჭდა პარტიის ახალქალაქის რაიკომის მდივნის ა. ბლრციანის წერილი „აღვზარდოთ მშრომელები ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით“. წერილში ბევრი საინტერესო ფაქტია მოყვანილი იმაზე, თუ რა მუშაობას ეწევიან პარტიული ორგანიზაციები ამ მხრივ, როგორ მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენ სომხები და ქართველები, რა წარმატებებს აღწევენ ისინი ერთობლივი შრომით.

„ურღვევია საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა“ — ამ საერთო სათაურით გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო მასალებს ახალქალაქში მცხოვრები ქართველებისა და სომხების მეგობრობის შესახებ.

„სოფელ მურჯახეთში,—წერს გაზეთი, — კარგად იცნობენ კომკავშირელ მწველავ ქალიშვილებს ჩინარ ავეტისიანს და მარო წინწკალაძეს. მათ ყველა დებს ეძახის. და მართლაც ღვიძლი დებივით უყვართ ერთმანეთი ამ პატრიოტ კოლმეურნე ქალიშვილებს... ახალგაზრდა მწველავების მეგობრობას ხელს უწყობს ისიც, რომ ისინი წველადობის გადიდების დავალებათა შესრულებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან...“

ახალქალაქის მტს-ის პარტბიუროს მდივანი ვ. გალსტიანი გაზეთში წერს, რომ მტს-ის კოლექტივში მეგობრულად შრომობენ რუსები, ქართველები, სომხები. უკვე მესამე წელია „დტ-54“ მარკის ტრაქტორს ამუშავებენ მექანიზატორები შალვა ზარიძე და არსენ ყარახანიანი. გასულ წელს მათ სატრაქტორო სამუშაოთა წლიური დავალება 110 პროცენტით გაანაღდეს. მიმდინარე წელს მოხნეს 743 ჰექტარი მიწა, დაზოგეს 409 კილოგრამი საწვავი.

საგულისხმო ფაქტებია მოყვანილი სოფელ ბარალეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხ. მამულიანის წერილში. როგორც იგი აღნიშნავს, კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში შრომობენ სომხები და ქართველები. სოფელში მუშაობს საშუალო სკოლა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ ისწავლოს მშობლიურ ენაზე. კოლმეურნეობაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, ბრიგადები, რგოლები, ცალკეული კოლმეურნეები ერთმანეთს ეჯიბრებიან უწვი მოსავლისათვის ბრძოლაში. წერილში ლაპარაკია აგრეთვე იმაზე, თუ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები რა ღონისძიებებს ახორციელებენ სხვადასხვა ერის მოსახლეთა შორის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში ახალქალაქის სოფელ დიდი სამსარის კოლმეურნეები ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის მშრომელებს ეჯიბრებიან. ამას წინათ, — წერს გაზეთი, — ოშორელი ქართველი კოლმეურნეები ეწვევნენ დიდი სამსარის სომეხ მეგობრებს. დიდი სამსარის კოლმეურნეობის კრებამ, რომელიც სპეციალურად ორივე კოლმეურნეობის წევრთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხს მიეძღვნა, გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ქართველმა და სომეხმა მეგობრებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება, გაეცნენ ერთმანეთის წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. გაზეთში დაბეჭდილ წერილში სოფელ ოშორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. დანელია ლაპარაკობს კოლმეურნეობის წარმატებებზე, რომლებსაც ისინი აღწევენ სომეხ თანამოძმეებთან შეჯიბრებაში.

„ჩვენით რა სოციალისტურ შეჯიბრებაში სომეხ მეგობრებთან, — წერს იგი, — ჩვენი მიზანია კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, ხელი შევუწყოთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, მჭიდრო მეგობრობით მივაღწიოთ საერთო წარმატებას“...

ხალხთა შორის მტკიცე მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნის ძლიერების დაუშრეტელი წყაროა. ამიტომ ხალხთა მეგობრობის საკითხის ფართოდ გაშუქება ადგილობრივი გაზეთების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.



**აჭარის სარეწაო საბჭოს კულტურის სახლი ბათუმში.**

ფოტო აფანასიევისა.

# მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილებისათვის

განვლილ 1956 წელს საქართველოს კოლმეურნეებმა ენერგიულად იშრომეს და სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ამჟამად კოლმეურნეობები აჯამებენ გაწეული შრომის შედეგებს და სახავენ ღონისძიებებს მიმდინარე სამეურნეო წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. მთავარი ამოცანა ის არის, რომ კოლმეურნეობებმა დროულად შეადგინონ წლიური ანგარიშები და სწორად გაანაწილონ მოსავალი და შემოსავალი.

მოსავლისა და შემოსავლის განაწილებამ უნდა უზრუნველყოს კოლმეურნეთა წლიური შრომის სწორი, სამართლიანი ანაზღაურება იმის მიხედვით, თუ თვითეული მათგანი როგორ იბრძოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გასაადიდებლად.

რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა საჭიროა მოაწყონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბუხჰალტრების და მოანგარიშეების, სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეების გულდასმითი ინსტრუქტაჟი მოსავლისა და შემოსავლის განაწილების და წლიური ანგარიშის შედგენის საკითხებზე, დაეხმარონ კოლმეურნეობებს აღრიცხვის სათანადო დონეზე დაყენებისათვის.

აუცილებელია წლიური ანგარიში შედგეს მხოლოდ და მხოლოდ საბუხჰალტრო აღრიცხვის დავთრების ჩანაწერების საფუძველზე. ამ სამუშაოს დაწყებამდე კი უნდა დამთავრდეს კოლმეურნეობის ყველა დარგის ინვენტარიზაცია და მისი შედეგები განიხილოს კოლმეურნეობის გამგეობამ; საჭიროა შეჯამდეს ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის შედეგები, მოხდეს ნატურითა და ფულით შრომის დამატებითი ანაზღაურების დარიცხვა კოლმეურნეებისა და მტს-ის სატრაქტორო ბრიგადების მუშებისათვის, აგრეთვე შრომადღეების დამატებით დარიცხვა და ჩამოწერა.

წლიურ ანგარიშს დართული აქვს შრომადღეებისა და ფულად-მატერიალური სახსრების დანახარჯების ცხრილი პროდუქციის ძირითადი სახეების ერთეულის წარმოებაზე, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

წლიური ანგარიშების შედგენა, მათი განხილვა და დამტკიცება საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 20 თებერვლისა. ეს კრება კანონიერია იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება კოლმეურნეთა საერთო რიცხვის არანაკლებ ორი მესამედი.

მოსავლისა და შემოსავლის განაწილებაში წელს შეტანილია ზოგიერთი დამატება. მაგალითად, სასურსათო და საფურაჟე მარცვლეული, პარკოსანი და საბურღულე კულტურების თვითეულ ნათეს ჰექტარზე კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით რესპუბლიკური საკოლმეურნეოთაშორისო სათესლე, საფურაჟე და სასურსათო სადაზღვევო ფონდის შესაქმნელად „ზაგოტზერნოს“ ბარდება უფასოდ 10 კილოგრამი მარცვლეული. (ეს ფონდი იქმნება 5 წლის განმავლობაში). აღნიშნული ფონდი იმყოფება რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში და საჭირო შემთხვევებში ამ ფონდიდან დახმარება ეძლევა კოლმეურნეობებს.

იქ, სადაც კოლმეურნეთა საერთო კრება საჭიროდ მიიჩნევს, გამოყოფს მარცვლეულის ნაწილს მომავალ წელს კოლმეურნეთათვის შრომადღეების მიხედვით ავანსების მისაცემად.

ფულადი შემოსავლის განაწილებაში შეტანილია რამდენიმე დამატება-შესწორება. მაგალითად, ბანკის გრძელვადიანი სესხები იფარება განუყოფელი ფონდის სახსრებიდან, მეცხოველეობის და სხვა სათავსების მშენებლობაზე, აგრეთვე მრავალწლიანი ნარგავების დარგვასა და გაზრდაზე დახარჯული შრომადღეები ანაზღაურდება განუყოფელი ფონდების ფულადი სახსრებიდან შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვით დაწესებული ოდენობით. რაც შეეხება ნატურალურ შემოსავალს, მის განაწილებაში ეს შრომადღეებიც შედის.

საერთო კრების დადგენილებით 1956 წლის ფულადი შემოსავლიდან გამოიყოფა 1-5 პროცენტი 1957 წელს ხარჯების გასაწევად. გარდა ამისა ფულად შემოსავალს გამოაკლდება იმ მასალების, თესლის, მინერალური სასუქების, ფურაჟის და წვრილ ინვენტარის ღირებულება, რომელიც ნაყიდია კოლმეურნეობის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, მაგრამ წლის ბოლოსათვის დაუხარჯავი დარჩა. ფულადი შემოსავლიდან აგრეთვე იქმნება მომავალ წელს შრომადღეების მიხედვით კოლმეურნეთა ავანსირების ფონდი.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში განუყოფელ ფონდს ყოფენ ფულადი შემოსავლის 15-ზე ნაკლები პროცენტის რაოდენობით. ეს არ არის სწორი, ვინაიდან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ რეკომენდებულია ფულადი განუყოფელი ფონდი გამოიყოს ფულადი შემოსავლის არანაკლებ 15 და არა უმეტეს 20 პროცენტის ოდენობით.

დაწესებულია, რომ 1956 წლის 1 ოქტომბრიდან, თუ კოლმეურნეობაში შრომადღეზე ნაწილდება ფულად 5 მანეთი და მეტი, მაშინ მტს-ის ტრაქტორისტები ფულს შრომადღეებზე მიიღებენ მხოლოდ კოლმეურნეობიდან, საერთო წესით, ყველა დანარჩენი კოლმეურნის თანაბრად, ხოლო თუ შრომადღეზე ფული კოლმეურნეობაში საგარანტიო მინიმუმზე (5 მანეთზე) ნაკლები ნაწილდება, განსხვავება მათ მიეცემათ მტს-იდან. მაშასადამე, გასული წლის მეოთხე კვარტალის შრომადღეებზე მტს-ის ტრაქტორისტებს ფული ზემოაღნიშნული წესით მიეცემათ.

ზოგან არასწორად გაიგეს პარტიისა და მთავრობის 1956 წლის 6 მარტის დადგენილება: დააწესეს მხოლოდ შრომის დამატებითი ანაზღაურების ოდენობა და გააუქმეს შრომადღეების დამატებითი დარიცხვისა და ჩამოწერის წესი, ზოგან კი დატოვეს შრომადღეების ჩამოწერა და გააუქმეს შრომადღეების დამატებითი დარიცხვა, რაც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის მთავრობის 1948 წლის 19 აპრილის დადგენილებას.

ზოგიერთები სვამენ კითხვას: რა წესით გაიცეს შრომის დამატებითი ანაზღაურება, თუ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ შეუტანია შესწორებანი და დამატებანი წესდებაში? ასეთ შემთხვევაში კოლმეურნეობას უნდა ვურჩიოთ პარტიისა და მთავრობის 1956 წლის 6 მარტის დადგენილების შესაბამისად განსაზღვროს იგი როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ისე მეცხოველეობის დარგების მიხედვით და ამის საფუძველზე გაიანგარიშოს და მისცეს კოლმეურნეებს შრომის დამატებითი ანაზღაურება.

არის ასეთი კითხვაც: ძალაშია თუ არა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 17 ივნისის დადგენილება, რომლითაც კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ მისცენ კოლმეურნეებს დამატებით მრავალწლიანი კულტურების რიგთაშორისებში ნებადართული კულტურების მოსავლის 40-მდე პროცენტი. ეს დადგენილება, როგორც დამატებითი მატერიალური სტიმულის მომცემი, ძალაში რჩება და მას საქართველოს კოლმეურნეობათა პირობებში უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

კოლმეურნეები ეკითხებიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, თუ როგორ სჯობს დაწესდეს შრომის დამატებითი ანაზღაურება ბრიგადირებისათვის, ფერმების გამგეებისა, თავმჯდომარეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის და როგორ განხორციელდეს მათ მიმართ შრომადღეების დარიცხვის და ჩამოწერის წესი? ჩვენი აზრით, ეს საკითხი სწორად გადაჭრა თავის წესდებაში მახარაძის რაიონის სოფელ კონჭათის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც დაადგინა:

მემცენარეობის ბრიგადების ბრიგადირებს ამა თუ იმ კულტურაზე შრომის დამატებითი ანაზღაურება მიეცეთ მათი ბრიგადის ერთი კოლმეურნის საშუალო დამატებითი ანაზღაურების ერთნახევარი ოდენობით, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — ერთი ბრიგადირის საშუალო დამატებითი ანაზღაურების ერთნახევარი ოდენობით იმ პირობით, თუ ბრიგადაში და კოლმეურნეობაში შესრულებულია შესაბამისი კულტურის თესვის ან დარგვის გეგმები. ეს კოლმეურნეობა შრომადღეების დამატებით დარიცხვას და ჩამოწერას ავრცელებს აგრეთვე კოლმეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებზე და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებზე.

წლიური ანგარიშის შედგენასთან და შემოსავლის საბოლოო განაწილებასთან დაკავშირებით სარევიზიო კომისიამ უნდა ჩაატაროს დოკუმენტალური რევიზია და შეადგინოს დასკვნა წლიურ ანგარიშზე. სარევიზიო კომისიამ თვითეულ კოლმეურნეობაში უნდა დაადგინოს რამდენად სწორია წლიური ანგარიში; აღრიცხულია თუ არა ყველა ნატურალური და ფულადი შემოსავალი; როგორ შესრულდა საწარმოო გეგმა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა; შესრულებულია თუ არა სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულება კოლმეურნეობის მიერ; უზრუნველყოფილია თუ არა კოლმეურნეობა თესლით და ფურაჟით მთელი წლისათვის; სწორად მოხდა თუ არა გადარიცხვა განუყოფელ ფონდში; შეტანილია თუ არა კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშზე განუყოფელი ფონდის სახსრები და რამდენად სწორად ინახება ისინი; როგორ წარმოებდა კოლმეურნეთა ავანსირება წლის განმავლობაში; რა მდგომარეობაშია ანგარიშსწორება ორგანიზაციებთან და პირებთან; სწორად არის თუ არა აღრიცხული კოლმეურნეთა შრომადღეები; როგორ იყო დაცული შრომის დისციპლინა კოლმეურნეობებში; როგორ იყო დაყენებული აღრიცხვა და ანგარიშწარმოება; როგორ ასრულებდა გამგეობა არტელის წესდებას, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს და კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებებს.

საჭიროა წლიური ანგარიშის შედგენაში და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საერთო კრებისათვის უნდა მოამზადოს წერილობითი ანგარიში.

მტს-ში და სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოში კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დამტკიცებული წლიური ანგარიშის შესამოწმებლად და წლიური ანგარიშის განხილვაზე რაიაღმასკომის დადგენილების პროექტის შესამუშავებლად უნდა გამოიყოს სპეციალისტთა ჯგუფი მთავარი აგრონომის, მთავარი ზოოტექნიკოსის, ინჟინერ-მიწათმოქმედების, მთავარი ბუხჰალტრისა და უფროსი ინსტრუქტორ-ბუხჰალტრის შემადგენლობით.

წლიური ანგარიშის შემოწმებაში საჭიროა ჩავაბათ აგრეთვე ცენტრალური სტატისმმართველოს რაიონული ინსპექტორები, სახბანკის და სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაკები. რაიაღმასკომის სხდომაზე წლიური ანგარიშის განხილვისას უნდა ესწრებოდეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბუხჰალტერი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და კოლმეურნეობის სპეციალისტები, ხოლო მტს-დან — დირექტორი, მთავარი აგრონომი, მთავარი ზოოტექნიკოსი, უფროსი ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი.

თვითეულ კოლმეურნეობაში წლიური ანგარიშის სწორად შედგენა და კოლმეურნეთა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე საქმიანად განხილვა და დამტკიცება, მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილება და კოლმეურნეებთან 1956 წლის შრომადღეებზე საბოლოო ანგარიშის დაუგვიანებლად გასწორება დიდი მნიშვნელობის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება აგგეფი მთავარი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო - სამეურნეო ორგანოების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ყოველდღიურ კონკრეტულ ხელმძღვანელობას და დახმარებას მოითხოვს.

ა. ჟანთარია,

**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

# ლიტერატურა და ხელოვნება

## რომში გამოვიდა „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“

გასულ წელს ქ. რომში გერმანულ ენაზე გამოვიდა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის კაპიტალური შრომის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ პირველი ტომი, რომელიც თარგმნილი და დამუშავებულია დოქტორ იულიუს ასფალგთან ერთად მიქელ თარხნიშვილის მიერ. თარხნიშვილი ქ. რომის სამეცნიერო გამომცემლობაში (აღმოსავლეთის ქრისტიან მწერალთა კორპუსი) ქართული სექტორის ხელმძღვანელია.

წიგნი შეიცავს 521 გვერდს. მასში მთარგმნელებს გამოუტოვებიათ დედნის ზოგიერთი ადგილი, რომელსაც ევროპიელი მკითხველისათვის იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც ქართველისათვის; წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე და გაფორმებულია კარგად.

ცნობილია, თუ რა მეცნიერული ღირებულების მატარებელია ძველი ქართული ლიტერატურა. სამწუხაროდ, რამდენადაც დიდია მისი მნიშვნელობა, იმდენად უცნობია ის საზღვარგარეთელი მეცნიერებისათვის. საზღვარგარეთ დამუშავებულია თითქმის ყველა უძველესი ქრისტიანი ერების ლიტერატურა: არაბული, ასურულ-ეთიოპური, კოპტური და სომხური. ქართულის შესახებ კი კრინტიც არ იყო დაძრული, მიზეზობდნენ სპეციალისტის უყოლობას. დღეს ეს ხარვეზი ამოივსო მეცნიერებაში.

„ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ ეს გამოცემა, რამდენადაც იგი მსოფლიო მეცნიერების სადღეისო საპიროებასა და მოთხოვნილებას უპასუხებს, ემსახურება მსოფლიოს ხალხთა შორის ქართული მწერლობის პოპულარიზაციის დიდ საქმეს და უკანასკნელი წლების ქართული მეცნიერების უდავო გამარჯვებაა.

## ცოცხლობდეს ჩვენი ძმობა ერთგული!

ორივე მხარე ლაღობს ბუნებით
მთებს მზე მოადგა მწყემსური ჯოხით.
აქეთ დუშეთი, იქით გუნიბი
აქეთაც ჩოხი, იქითაც ჩოხი.

გაშლილა რძიან საძოვრის ნოხი
და შეეხვარიან ერთურთს ჩობნები —
ქართული ნაბდით, ლეკური ჩოხით,
მამაცი გულით მჯობთა მჯობნები.

და როგორც ერთი სახელი შვენის
დაღესტნურ აულს და ქართულ სოფელს,
ისე ერთია მიზანი ჩვენი,
ჩვენს გზებს ხანჯლები აღარა ჰყოფენ.

და როგორც ერთი მთა აქვს სათავედ
დაღესტნურ ანდს და ქართულ ალაზანს,
ისე ერთი გვაქვს საშობლო ვრცელი,
ოქტომბრის მზემ რომ გაგვილამაზა.

ცოცხლობდეს ჩვენი ძმობა ერთგული,
ერთ დიდ სიცოცხლედ ატალღებული,
ამ მთებზე უფრო მკვიდრად შეკრული,
ამ მთებზე უფრო ამაღლებული.

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი.**

## აკაკის ნაკვესები გერმანულ გაზეთში

ბერლინის ერთ-ერთმა ყველაზე გავრცელებულმა გაზეთმა „ტრიბუნემ“ (გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების ორგანო) 1956 წლის 10 ნოემბრის ნომერში მოათავსა აკაკი წერეთლის ნაკვესების გერმანული თარგმანი. თარგმანი შესრულებულია თბილისის უცხოენათა პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის ნოდარ გიოშვილის მიერ. ნაკვესებს დათმობილი აქვს გაზეთის ნახევარი გვერდი, ტექსტში მოთავსებულია მხატვარ ფრიდემანის ილუსტრაციები.

რედაქციას შეურჩევია აკაკის შემდეგი რჩეული ნაკვესები: „აკაკი დალაქთან“, „აკაკი და გარდაცვლილი ვიქილი“, „აკაკი და ახალგაზრდა ქართველი გზის მშენებელი ინჟინერი“, „სოფიო და ფილოსოფია“, „აქამდის აკაკი ვიყავი, ახლა მე თვითონაც არ ვიცი ვინა ვარ“, „ახალგაზრდა ქართველი და სათვალე“, „თეთრი და წითელი ღვინო“, „ბუმბერაზი და ჩია კაცი“ და სხვ.

ნაკვესებს წამძღვარებული აქვს სარედაქციო შენიშვნა, სადაც ნათქვამია:

„ჩვენმა რედაქციამ თბილისიდან (საქართველო) მიიღო წერილი და აკაკი წერეთლის ნაკვესების თარგმანი. მთარგმნელი გვწერს, რომ აკაკი წერეთელი, რომელიც 1840 — 1915 წლებში ცხოვრობდა, უდიდესი ქართველი პოეტი და პუბლიცისტია. თუ რამდენად უყვარს აკაკი წერეთელი ქართველ ხალხს, ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მის თქმებს საქართველოში ხალხი დღემდე იმეორებსო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აკაკის ნაკვესები გერმანიაშიც მრავალ მეგობარს შეიძენს“.

ნაკვესების თარგმანი შესრულებულია მოქნილი, სხარტი გერმანული ენით და საკვლევით გადმოსცემს აკაკის ჰუმანისტურ განწყობილებას.

## საკურსო სპექტაკლები

ამ დღეებში რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტებმა (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ა. ფალავა) ინსტიტუტის კლუბში მაყურებლებს უჩვენეს საკურსო სპექტაკლები. წარმოდგენილ იქნა ჯონ სინგის ერთმოქმედებიანი პიესა „შებინდებისას“, რომლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა ლ. მირცხულავამ. როლებს ასრულებდნენ სტუდენტები: თ. გომელაური (დან ბერკი), მ. ლომაძე (ნორა ბერკი), გ. გოგავა (მაიკლ დარა), ნ. ჯუღელი (მაწანწალა).

რეჟისორმა კ. ღლონტმა დადგა ა. ჩეხოვის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „დათვი“. მთავარი როლები შეასრულეს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა ბ. ჯაფარიძემ (ელენე ივანეს ასული პოპოვა) და ი. უჩანეიშვილმა (გრიგოლ სტეფანეს-ძე სმირნოვი). მათთან ერთად როლებს ასრულებდნენ სტუდენტები გ. ყორდანია (ლუკა), ვ. ჩაჩავა (მენაღე) და გ. ჭიჭინაძე (მეეტლე).

სპექტაკლი მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს.

## „მეფე ერეკლეს“ განხილვა

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო ინსტიტუტის საკლუბო საბჭომ მოაწყო ლ. გოთუას პიესა „მეფე ერეკლეს“ განხილვა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა დოც. ი. ურუშაძემ. მოხსენება „ლ. გოთუას პიესა „მეფე ერეკლე“ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე“ გააკეთა დოც. ე. ვასაძემ.

სიტყვები წარმოთქვეს დოცენტებმა ნ. ლარიბაშვილმა, ი. მირცხულავამ, თ. ბერიტაშვილმა, უფროსმა მასწავლებელმა ლ. ანთაძემ, სტუდენტებმა დ. გოგოლაძემ, ნ. ლეკვეიშვილმა, მ. ივანიამ და სხვ. მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულებმა დადებითი შეფასება მისცეს პიესას და სპექტაკლს. ამასთან მათ გამოთქვეს ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა.

დრამატურგმა ლ. გოთუამ და რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვ. გოძიაშვილმა თავიანთ სიტყვებში გაიზიარეს შენიშვნები და თქვეს, რომ ისინი გათვალისწინებული იქნება პიესაზე და სპექტაკლზე შემდგომი მუშაობის დროს.

დასასრულ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სცენები სპექტაკლ „მეფე ერეკლედან“.

# მოგზაურობა პოლონეთში

საბჭოთა ტურისტები პორონინოში—ლენინის სახლ-მუზეუმთან.

• • •

მატარებელი, რომელშიც ქართველ ტურისტთა ჯგუფი იყო, შებინდებისას ვარშავას მიუახლოვდა. უეცრად შემოგვესმა შეძახილები: „ამხანაგებო, შეხედეთ, კულტურის სასახლე მოჩანს!“... მართლაც, უკვე გაჩირაღდნებული ქალაქის ფონზე გამოჩნდა ვარშავის ცათაზიდული კულტურისა და მეცნიერების სასახლე. ამ სანახაობით მოხიბლულებს არც კი შეგვიმჩნევია როგორ მიადგა ჩვენი მატარებელი სადგურს.

ჰიტლერელ ოკუპანტთა შემოსევის შედეგად მსოფლიოს ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალაქმა ვარშავამ დიდი ნგრევა განიცადა. ოკუპანტებს სურდათ პოლონეთის დედაქალაქი წაეშალათ ევროპის რუკაზე. მაგრამ მოსახლეობის გმირული წინააღმდეგობის მეოხებით, ათასობით ადამიანის სიცოცხლის ფასად ვარშავამ მოიპოვა „ქედმოუხრელი ქალაქის“ საპატიო სახელი.

სახელმწიფოსა და მთელი ხალხის ღონისძიებებით ვარშავა აღდგენილ იქნა. ახალი პოლონეთის დედაქალაქი ამჟამად მჩქეფარე, დაუცხრომელი ცხოვრებით ცხოვრობს.

ჩვენ ვინახულეთ ვარშავის ოპერის თეატრი, სადაც მოვისმინეთ პოლონელი კომპოზიტორის სტანისლავ მონიუშკოს ოპერა „გალკა“. ამ ოპერის მოსმენით ვიგრძენით პოლონელი ხალხის ჭეშმარიტი ხელოვნების სიძლიერე. შემსრულებლებმა ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს.

ვარშავაში ყოფნის მესამე დღეს ვინახულეთ სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლე — საბჭოთა ხალხის საჩუქარი პოლონელი ხალხისადმი. 42-სართულიან სასახლეში მოთავსებულია პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, ახალგაზრდობის სასახლე, სამი თეატრი და რამდენიმე საკონცერტო დარბაზი, მრეწველობისა და ტექნიკის მუზეუმი, თანამედროვე სასპორტო ობიექტები.

ჩვენ გვეუბნებიან: რომ მოინდომოთ სასახლის ყველა ოთახის ჩამოვლა და თითოში თითო დღე დაჰყოთ, სასახლიდან ცხრა წლის შემდეგ გამოხვალთო.

ვარშავის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში საბჭოთა კავშირის მომზე ხალხთა სხვადასხვა ეროვნების 21.550 მებრძოლი დაიღუპა. პოლონელი ხალხი წმიდად ინახავს მათს ხსოვნას. დაღუპულ მეომართა პატივსაცემად 19 ჰექტარ ფართობზე გაშენებულია ლამაზი პარკი.

ქალაქმა კრაკოვმა, რომელიც ვარშავის შემდეგ ვნახეთ, მოგვხიბლა თავისი ძველი არქიტექტურით.

ჩვენი ჩასვლის დღეს კრაკოვში გაიხსნა საბჭოთა ფილმების კინოფესტივალი. ქალაქის კინოთეატრების ეკრანებზე აჩვენებდნენ ბევრ საბჭოთა კინოსურათს.

ქალაქის დათვალიერების შემდეგ გავემგზავრეთ მარილის მაღაროების შახტში.

ჩავდივართ შახტში, რომლის სიღრმეა 135 მეტრი. აქ 300 წლის წინათ პოლონელ მეშახტეებს, რომლებიც მარილის მოპოვებაზე მუშაობდნენ, მარილისგან შეუქმნიათ არქიტექტურის ძეგლები. მიწისქვეშა გზას მივყავართ დიდ დარბაზამდე, რომელიც შექმნილა ქვამარილის ამოღების შემდეგ. მთელი დარბაზი მარილისავან არის გაკეთებული. მარილის კედლებში გამოკვეთილია „ღვთისშობლის“, „ქრისტეს“ სკულპტურები, აგრეთვე ბარელიეფები. მთელ დარბაზს აშუქებს სამი დიდი ჭაღი, რომლებიც ასევე მარილისგან არის გაკეთებული.

დათვალიერების შემდგომი ობიექტი იყო ახალი სოციალისტური ქალაქი — ნოვა გუტა.

ექვსი წლის წინათ სოფელ მოგილის უკაცრიელ და ჭაობიან ადგილს მოვიდა პოლონელი ახალგაზრდობა და უმოკლეს ვადაში აღმართა ლენინის სახელობის დიდი მეტალურგიული კომბინატი და გაიშენა ახალი სოციალისტური ქალაქი ნოვა გუტა.

ამ ქალაქისა და კომბინატის წარმოშობის ისტორია დიდად წაგაგავს ჩვენი ახალი ქალაქის — რუსთავის წარმოშობის ისტორიას. მსგავსება იმდენად ძლიერია, რომ ასე გვეგონა, თითქოს რუსთავში ვიმყოფებოდით.

შემდეგ ჩვენ ავტობუსით გავემგზავრეთ ოსვენციმში. აქ იყო ჰიტლერელების მიერ შექმნილი საკონცენტრაციო ბანაკი — სიკვდილის ფაბრიკა, რომელსაც 40 კვადრატული კილომეტრი ეკავა.

შევდივართ ოსვენციმის მუზეუმში, სადაც თვალნათლივ ვხედავთ ჰიტლერელ ბარბაროსთა მხეცობის მთელ საშინელებას. მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზის კედლის გაყოლებით აწყვია 2 ტონა თმა. ეს არის 32.000 მსხვერპლის თმა. ვხედავთ ბავშვების ფეხსაცმელებს, ჩემოდნებს, ჭურჭელს, თეფშებს და სხვა ნივთებს. ვათვალიერებთ ქსოვილს, რომელიც ფაშისტებს ადამიანის თმისაგან მოუქსოვიათ.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ფოტოსურათები, ერთ მათგანზე გამოხატულია ქალი, რომელიც აქ უნახავთ 1945 წელს ბანაკის განთავისუფლების შემდეგ. ეს ქალი 23 წლის ასაკში იწონიდა 25 კილოგრამს — აი სანამდე მიიყვანეს იგი ჰიტლერელმა მტარვალებმა.

ცუდი განწყობილებით დავბრუნდით კრაკოვში. ვერ დავივიწყეთ ის, რაც რამდენიმე საათის წინათ ვნახეთ. და განა შეიძლება მისი დავიწყება!

კრაკოვიდან გავემგზავრეთ პოლონეთის სამხრეთ დედაქალაქ ზაკოპანეში, სადაც იმართება მოთხილამურეთა შეხვედრები და შეჯიბრებები. ზაკოპანე მდებარეობს ტატრის მთის ფერდობთან.

ზაკოპანეში ყოფნის მეორე დღეს წავედით სადგურ კუზნიცაში, საიდანაც საკიდი გზით ავდივართ ზღვის ზვირთისებრ ტალღებს მთაზე (1989 მეტრის), რომელიც ყველაზე პოპულარული თოვლიანი ადგილია. ეს შესანიშნავი პირობებია სასაფეხურო და ბაზამთრო ექსკურსიებისათვის, სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმისათვის. თითქმის ყოველ ხეობაში არის კარგად აღჭურვილი ტურისტული ბაზები, სადაც ორგანიზმს იკაჟებს ათასობით პოლონელი მშრომელი. კასპროვი ვერხის ნახვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, ბუნებაც, სათხილამურო ბაზებიც ბაკურიანს გვაგონებდა.

ზაკოპანეში გამოსათხოვარი ბანკეტის დროს შევხვდით კინომსახიობებს ტატიანა ნეფედოვას და სერგეი ლუკიანოვს, რომლებიც ჩვენს მაგიდას მოუსხდნენ და მეგობრული საუბარი გაგვიმართეს. არც კი შეგვიმჩნევია, როგორ ადგა ლუკიანოვი, მივიდა ჯაზ-ორკესტრის ხელმძღვანელთან და... ჯაზ-ორკესტრმა დაუკრა საცეკვაო „ქართული“. აქ ჩვენმა ახალგაზრდობამ თავი ვერ შეიკავა და ცეკვა ცეკვას მოჰყვა. რესტორანში მყოფი ხალხი ტაშით აჟღერდებდა ჩვენს მოცეკვავეებს. როცა ვაზშამი დავამთავრეთ, ხალხმა მქუხარე ტაშით გამოგვაცილა. ეს საღამო დიდხანს დარჩება თვითეული ჩვენგანის მეხსიერებაში.

მეორე დღეს დილიდანვე გავემგზავრეთ პორონინოში, სადაც 1913-1914 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ლენინის სახლ-მუზეუმის ოთხ ოთახში წარმოდგენილია ექსპონატები, რომლებიც გვაცნობენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მუშაობას პორონინოში. პორონინოდან იგი წარმართავდა რუსეთის ბოლშევიკების რევოლუციურ მუშაობას, ხელმძღვანელობდა გაზეთ „პრავდას“, ეხმარებოდა პოლონელ რევოლუციონერებს მუშაობაში. 1947 წლიდან ეს მუზეუმი სხვადასხვა ყველეთის 1 მილიონამდე ექსკურსანტმა დათვალიერა.

მუზეუმის დეტალურად დათვალიერების შემდეგ ავტობუსით გავემართეთ ლისაია პოლიანასკენ. ეს არის საზღვარი პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის. გადავლახეთ რა სასაზღვრო ხიდი, ჩეხოსლოვაკიაში აღმოვჩნდით.

**გ. ვახტანგაძე, გ. ავალიანი.**



ვარშავა. კულტურისა და მეცნიერების სასახლე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

# ვარდ-ყვავილების მესაიდუმლე

ოთხმოცდასამი წლის წინათ სვეტიცხოვლის გლეხებს ალექსანდრე და სოფიო მამულაშვილებს ეყოლათ ვაჟი. მცხეთის მიწაზე თვალი აახილა კიდევ ერთმა ახალმა სიცოცხლემ. სახელი მისი — მიხეილ.

ახლა ბევრს, ძალიან ბევრს მოაგონდება უთუოდ, ვიზეც საუბარი გვექნება. მოაგონდებათ თავიანთი ქორწილის ბედნიერი დღეები და ის, ვინც შეამკო ეს დღეები ნაირფერი ვარდ-ყვავილების თაიგულებით, ულამაზესი გვირგვინებით და გირლანდებით. მოაგონდებათ ძია მიხა, იგი ცოცხლობს და იმარჯვებს. ოთხმოცდასამი წელიწადიც ვეღარ მორევია მის ჯანღონეს და ვერ დაუჯაბნია, ახლაც ყოჩაღად და მხნედ გამოიყურება, ახლაც ელოლიავება ნაირ-ნაირ ყვავილნარებს.

აი ჩვენი პოეტის ი. გრიშაშვილის სტრიქონები, მოხუცს ოთხმოცი წლისთავზე რომ უძღვნა:

* * *

ყვავილების ქვეყანაში
შენც ყვავილად აღმოცენდი,
შრომის ეშხით მოხიბლული
მიჩურინულ აზრებს ჰფენდი!

შენ ხომ ვაჟას მინდია ხარ,
გრძნობ, რას ამბობს ხე და ჩირგვი...
დღეს ცოცხალი ყვავილები,
გახვევია, ძმაო, ირგვლივ, —
შენ გვასწავლე ყვავილთ ენა,
შენ გვასწავლე ეს ხელობა...

— მაშ ვუსურვოთ მამულაშვილს, მამულიშვილს დღეგრძელობა.

ვარდ-ყვავილების მესაიდუმლეს ბებერი მცხეთის მიწა ტილოდ გამოუყენებია, ნაირფერი ვარდ-ყვავილები ყალმად და ფუნჯად, და ასე უცნაურ მხატვრად — ბუნების მხატვრად მოგვევლინებია.

ძია მიხას გამოყვანილი ყვავილები ღვივიან, იფურჩქნებიან ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში, ხატავენ და ამშვენებენ მრავალ ღირსშესანიშნავ ადგილს. ეს ყვავილები მოხატავენ ჩვენი სამშობლოს გულის — მოსკოვის მიწასაც. მიხეილმა ისინი გაატანა მასთან სტუმრად მყოფ ცნობილ საბჭოთა სელექციონერებს ცოლ-ქმარ კორობოვებს, ნიშნად მეგობრობისა. კორობოვები მამულაშვილს თავიანთ გამოყვანილ ყვავილებს უგზავნიან მეგობრობის ნიშნად, რომ მათ იხარონ ქართულ მიწაზე.

ვინც ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმში ყოფილა, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო ამ საყვარელი მიდამოს დეკორაციული გაფორმებით. ნაირფერი ვარდ-ყვავილები და მცენარეები ხარობენ საგურამოს მიწაზე, ძია მიხას მარჯვენით გამოყვანილნი და გადარგულნი.

პოეტს სიყვარული აწერინებს, მხატვარს სიყვარული გადმოაქვს ტილოზე, სიყვარულია შემოქმედებითი შთაგონების წყარო. სწორედ ამ სიყვარულმა მოახატვინა და მოაქარგვინა ვარდ-ყვავილების დიდებული დეკორაციით მიხეილ მამულაშვილს დიდი ილიას ეზოკარი.

სასიხარულოა, რომ სახლ-მუზეუმის საბჭომ პატრიოტი მოხუცი შთაგონებული შრომისათვის მადლიერების გრძნობით თავის საპატიო წევრად აირჩია.

სასიხარულოა, რომ ეს ტკბილი მოხუცი, ვარდ-ყვავილების ეს ჯადოქარი, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საყვარელი და საპატიო მეგობარია. მიწის ამ დიდებულ მხატვარს ხშირად ცოცხალი ყვავილების თაიგული, ბავშვთა თაიგული ახვევია გარს — სწავლობენ მოხუცისგან ბუნების მხატვრობას. ქართველი მოხუცი მრავალი ბოტანიკური ბაღის, მრავალი სამეცნიერო საზოგადოების ხშირი სტუმარია, მათი მეგობარი და დაუზარელი კონსულტანტია. საიდან არ ჩამოდიან მასთან, რომ თავიანთი თვალით ნახონ და გაეცნონ მოხუცის შთაგონებული შრომის ნაყოფს.

...მტკვრისა და არაგვის დუდუნი თითქოს ნანას ეუბნება მამულაშვილის ყვავილნარებს, დიდებული სვეტიცხოველი და ხანდაზმული ჯვარის მონასტერი დასცქერიან თავს. არაგვის ქვის გალავანი შემორტყმია სვეტიცხოვლის კალთაზე გაღვივებულ ედემის ბაღს, ახლა თოვლით დათრთვილულსა და უფრო გალამაზებულს. თოვლი ფეხს ვერ იკიდებს ორანჟერიების შუშებზე, რომელთა ქვეშ სიცოცხლე ღვივის — ლამაზი სიცოცხლე ათასნაირი ყვავილებისა. ყვავილები ქოთნებში, ყვავილები მიწაზე, ყვავილები ყველგან, მაგრამ გასაოცარია ყვავილები... ქვებზე, ქვებზე ამოყვანილი კაკტუსები და ვარდები, გვირილები და ზამბახები, ისამნები და ეჰევერიები!.. ჯადოქარს ქვაც კი დაუმორჩილებია და ყვავილების საბუდრად უქცევია.

მოხუცის ეზო, მისი ყოველი ქვა და მტკაველი მიწა, ყოველი მცენარე და ყვავილი ქართულზე ღაღადებს. აი სახლის წინ საოცარი თაიგული მრავალნაირი ქვებისა, სუროთი და ხავსით შემოხვეული. აქ ნახავთ ქართულ მარმარილოს, არაგვისა და სვეტიცხოვლის ქვებს, გაქვავებულ ხეს, კაქებს... ამ თაიგულში ყურადღებას იპყრობს ერთი საინტერესო ქვა — განიერი და ბრტყელი. ილიას ნაქონი ქვევრის სარქველი ყოფილა თურმე, სამახსოვროდ მოუტანია მოხუცს თავისი დიდი თანამედროვის ნაქონი ნივთი. იქვე ახლოს, თითქოს გრანიტად ქცეული, საუკუნეებთან შეჭიდებაში ტახდაკორძებული მუხის ნარჩენი ღერძია, ილიას ეზოდან მოტანილი — მოხუცს იგი სიმბოლოდ აქვს, ილიასადმი სიყვარულის სიმბოლოდ, მოხუცებისადმი პატივისცემის სიმბოლოდ. მამულაშვილი ხომ მეგობრობდა დიდ ილიას.

არაგვისქვის გალავანთან დიდი მრგვალი მაგიდაა — ქვის მაგიდა, ხავსით შემოსილი, არაგვის მოტანილი გაქვავებული ტირიფით გარშემორტყმული. წინა ეზოში სუროს ხლართებიდან გამოიყურება გოლიათი ქვევრი, აქა-იქ ხავსმოკიდებული.

ორანჟერიები განცვიფრებთ. მართლაც ჯადოქარია ეს მოხუცი! ქართულ დოქზე ყვავილი სედომი ამოუყვანია, ნაირ-ნაირ ჭურჭელში ღვივიან ხრიზანტემები, სხვადასხვა ჭურჭელში სხვადასხვა ფერისანი. გოცებთ ყვავილი სახელად „ქრისტეს გვირგვინი“. სვეტიცხოვლის ქვაში თხუთმეტი წელია ხარობს ყვავილი „მეზენბრიანტემუმი“, დიდებულად გაუხარიათ კაკტუსებს, წითლად ღაჟღაჟებს თესლით გამოყვანილი ფურუსული. ორანჟერიებში გათბობილ ყვავილთა სურნელი, თითქოს გიღიმით და შემოგციცინებთ მარწყვი, დიახ მარწყვი... იანვარში! სხვაგან — ლიმონი და მანდარინი, ჩაის ვარდი და ასკილი, გვიმრები და ვაზი...

ახლა მოხუცის სახლში შევიხედოთ. ძველი ქართული სახლის ოთახები და დარბაზები სიძველის მუზეუმს მოგაგონებთ. დარბაზში თითქმის მთელ იანვარ კედელზე ჰკიდია დიდი პანორამა, ეს არის „ოცდახუთი წლის შრომის აღსანიშნავი“. 1898-1923! — ასეთია თარიღი. პანორამაზე მიხეილის პორტრეტი გარშემორტყმულია თავისი ოჯახის წევრებისა და ნათესავების პორტრეტებით და იმ ყვავილებისა და მცენარეების ფოტოებით, რომლებიც მამულაშვილს ოცდახუთი წლის მანძილზე გამოუყვანიათ. სხვა კედლებზეა გასული საუკუნის ბევრ იმ გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები, რომლებთანაც მეგობრობდა მიხეილი.

— ახლა ჩემს სამუშაო ოთახშიც მობრძანდით! — შემოგვთავაზა მოხუცმა, წინ გაგვიძღვა მკვირცხლად. — აქ თბილა, მოხუცის ოთახში მუდამ თბილა...

წიგნები... წიგნები... ჟურნალ-გაზეთები... მოხუცი რაღაცას ფაცურობს, რაღაცას ეძებს, ძლივს მოაქვს დიდი, გრძელი მუყაოს ყუთი, მაგიდაზე დებს. სახურავს ხდის. კონვერტები, კონვერტები მარკებით, მისამართებით. ზოგს აწერია მოსკოვი, ბევრს — თბილისი, ლენინგრადი, და ვინ მოსთვლის ქალაქებს! სუფთად, ფაქიზად არის მისამართები გამოყვანილი. ადრესატები ქართველებიც არიან, რუსებიც, უკრაინელებიც, სომხებიც...

— აქ ხუთასია მარტო. ამ დღეებში ერთი ამდენიც მექნება.

— რა არის ეს, პატივცემულო მიხეილ?

— ხომ უნდა მივულოცო ნაცნობ-მეგობრებს ახალი წელი! — მშვიდად, ღიმილით გვიპასუხებს მოხუცი და ყუთში ფაქიზად აწყობს გასაგზავნად გამზადებულ კონვერტებს.

მე არ ვიცი, რას სწერდა მოხუცი ნაცნობ-მეგობრებს, რა იდო ამ კონვერტებში, მე მხოლოდ მაშინ მივხვდი, ახალ წელს თბილისში რომ მომატანეს ერთი ასეთი ნაცნობი კონვერტი, ნაცნობი ხელწერით. გავხსენი. ჩემს სიხარულს რა შეედრებოდა! ძია მიხეილი მილოცავდა ახალ წელს. ხელნაწერს ზევით, როგორც უძვირფასესი ორნამენტი, სამ წყებად ულამაზესი ყვავილები იყო ჩამწკრივებული — „ივან და მარიას“ ეძახიან ამ ყვავილებს, მიხეილის გამოყვანილია ისინი.

...შენ მადლიერი ხალხი გილოცავს ახალ წელს, ვარდ-ყვავილების მესაიდუმლე მხცოვანო მამულიშვილო!

**ვლ. თოდრდუა.**

* * *

**ხურათებზე:** მარცხნივ — მიხეილ მამულაშვილი თავის ერთ-ერთ ორანჟერიაში; მარჯვნივ — მ. მამულაშვილი მოსკოველ სელექციონერებს ცოლ-ქმარ კორობოვებს უჩვენებს ახალ ყვავილებს თავის ბაღში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. 4 იანვარი. (საკდესი). ახალი წლის პირველი დღეები უნგრეთში აღინიშნა შრომითი წარმატებებით და ცხოვრების შემდგომი ნორმალიზაციით. 2 იანვრიდან განახლდა მეცადინეობა ბუდაპეშტის უნივერსიტეტში. დღითიდღე უმჯობესდება ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა.

ობუდის გემთმშენებლებმა, მიუხედავად ელექტროენერგიის ნაკლებობისა, დაამთავრეს საექსპორტოდ განკუთვნილი სამი გემის მშენებლობა. მათგან ორი უკვე გაეგზავნა დამკვეთებს, მესამე გადაეცემა უახლოეს დღეებში.

ახალი წარმატებები მოიპოვა წარმოების ძნელ პირობებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა „ემაგის“ კოლექტივმა. ამ ბოლო დროს მან გამოუშვა 30 კომბაინი და კვლავ აძლიერებს წარმოების ტემპებს.

ახალ წელს მატულობს ქვანახშირის ამოღება. საერთო გამომუშავება მთლიანად უნგრეთში შეადგენს დაახლოებით 30 ათას ტონას დღეღამეში.

## ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ

ᲘᲜᲓᲝᲠᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). გუშინ დელში გამოქვეყნდა ინდოეთის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო მანიფესტი, რომელშიც პარტია მოითხოვს ლიკვიდირებულ იქნას ინგლისის კაპიტალის ბატონობა ინდოეთის ეკონომიკის დიდმნიშვნელოვან დარგებში, შეიზღუდოს მონოპოლიები და სწრაფად განვითარდეს სახელმწიფო სექტორი; ლიკვიდირებულ იქნას მემამულური მიწათმფლობელობა და გადაეცეს მიწა გლეხებს; მოისპოს უმუშევრობა და განუხრელად ამაღლდეს ხალხის მასების ცხოვრების დონე, მიღწეულ იქნას სწრაფი პროგრესი ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო მშენებლობისა და კულტურის დარგში; განვითარდეს დემოკრატია სახალხო თანამშრომლობისა და სახალხო ინიციატივის უზრუნველყოფის მიზნით.

პარტია აყენებს აგრეთვე მთელ რიგ სხვა მოთხოვნებს საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკისა და საგარეო პოლიტიკის დარგში, აცხადებს რა, რომ იგი ეცდება ხელი შეუწყოს ინდოეთის საგარეო პოლიტიკის განმტკიცებას და იბრძოლებს რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ აიცდინონ ინდოეთის საგარეო პოლიტიკა მშვიდობის გზას, სამხედრო კავშირებისადმი წინააღმდეგობის გზას.

მანიფესტში აღნიშნულია, რომ ინდოეთის კომუნისტური პარტია მომავალ არჩევნებში ეცდება უზრუნველყოს დემოკრატიული ოპოზიციის პარტიების ერთიანობა.

## ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲘᲜᲓᲝᲠᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). დღეს დილის სხდომაზე პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის ყრილობის სარედაქციო კომიტეტმა ზოგიერთი შესწორებით მოიწონა პარტიის წინასაარჩევნო მანიფესტის პროექტი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჯავაჰარლალ ნერუმ, რომელმაც პარტიის წევრებს მოუწოდა ყოველი ღონე იხმარონ, რათა უზრუნველყონ ინდოეთის ეროვნული კონგრესის წარმატება არჩევნებში.

ᲘᲜᲓᲝᲠᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). დღეს საღამოს სხდომაზე ინდოეთის ეროვნული კონგრესის ყრილობის სარედაქციო კომიტეტმა მიიწონა და მიიღო რეზოლუციები საარჩევნო კამპანიის მოწყობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომლებიც საბოლოო დამტკიცებისათვის წარედგინება ყრილობას.

## „ᲥᲔᲜᲛᲘᲜᲥᲘᲒᲐᲝ“ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). დღეს გაზეთებმა „ჟენმინჟიბაომ“, „გუანმინჟიბაომ“ და „დაგუნბაომ“ მოათავსეს სტატიები, რომლებშიც კომენტარს უკეთებენ ეგრეთწოდებულ ეიზენჰაუერის გეგმას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

ეს გეგმა, წერს „ჟენმინჟიბაო“, ითვალისწინებს პრეზიდენტ ეიზენჰაუერისათვის უფლების მინიჭებას გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ ამ რაიონში ამერიკის შეიარაღებული ძალები, აგრეთვე 400 მილიონზე მეტი ამერიკული დოლარის ასიგნებას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის „დახმარების“ გასაწევად. იგი არ წარმოადგენს რაიმე ახალს და არსებითად არის კოლონიზატორული და აგრესიული გეგმა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ თავიანთი აგრესიული მიზნები ახლო აღმოსავლეთში შენიღბონ ზღაპრებით „კომუნისტური საფრთხის“ შესახებ. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს „ჟენმინჟიბაო“, ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ დაძაბული მდგომარეობა ამ რაიონში წარმოიშვა კოლონიზატორთა მიზეზით. შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც ფაქტიურად ინგლისელ და ფრანგ აგრესორთა მხარეზე იყვნენ და მხარს უჭერდნენ მათს თავდასხმას ეგვიპტეზე, უარი თქვეს სსრ კავშირის წინადადებაზე აგრესიის აღსაკვეთად შეიარაღებული ძალების ერთობლივად გამოყენების შესახებ. ახლა კი, როდესაც აგრესია შეჩერებულია, ისინი გაჰყვირიან ახლო აღმოსავლეთის „დასაცავად“ შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

ამან, აღნიშნავს გაზეთი, საბოლოოდ გამოაშკარავა ნამდვილი გეგმები ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლებიც დეკლარაციულად აცხადებენ, რომ ახლო აღმოსავლეთის ხალხთა „მეგობრები“ არიან და „ილაშქრებენ კოლონიალიზმის წინააღმდეგ“, ხოლო ფაქტიურად არიან ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მტრები და პირწავარდნილი კოლონიზატორები.

## ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

ᲢᲔᲚ-ᲐᲕᲘᲕᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). დღეს გაზეთ „კოლ ჰაამში“ გამოქვეყნებულია ისრაელის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ახლო აღმოსავლეთში.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „მტკიცე პოზიციამ, რომელიც სსრ კავშირმა დაიკავა აგრესიის წინააღმდეგ, გამოიწვია სამხედრო ავანტიურის ჩაფუშვა, თავიდან აგვაცილა გაფართოება ომისა, რომელიც მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს შეიცავდა“.

მაგრამ, აღნიშნულია რეზოლუციაში, საშიშრობა ჯერ კიდევ არ არის განვლილი, და ამის მაგალითად მოყვანილია ამერიკის იმპერიალისტური გეგმა დაიმორჩილოს შუა აღმოსავლეთის ხალხები და დაიკავოს ინგლისელ და ფრანგ კოლონიზატორთა ადგილი.

„ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები, — ნათქვამია შემდეგ, — კვლავ იყენებენ ისრაელის მთავრობას, როგორც იარაღს თავიანთი ხრიკებისათვის მეზობელი ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, დამოუკიდებელი და ნეიტრალური ქვეყნების — იორდანიისა და სირიის წინააღმდეგ“. „კოლონიურ სახელმწიფოებთან გარიგების განგრძობა, — აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში, — იმის ცდები, რომ მოახდინონ ტერიტორიული ექსპანსია და შეუერთონ ისრაელს ღაზის რაიონი და ეილათის სრუტეების კუნძულები, არათუ არ შეესაბამება ისრაელის ეროვნულ ინტერესებს, არამედ, პირიქით, საფრთხეს უქმნის ისრაელის უშიშროებას, გვაშორებს ისრაელ-არაბთა მშვიდობის პერსპექტივებს და აძლიერებს ისრაელის იზოლაციას საერთაშორისო ასპარეზზე...“

ისრაელის კომპარტიის პოლიტბიუროს საპირიროდ მიაჩნია მშვიდობის მიღწევის მიზნით: დაუყოვნებლივ უკან დახევა დაზავების ხაზებისაკენ და აგრესიის ყველა შედეგის ლიკვიდაცია. იმპერიალისტებთან შეთანხმების გაუქმება და საქმით დამტკიცება, რომ ისრაელი არ იქნება იარაღი კოლონიზატორთა ხელში არაბი ხალხების წინააღმდეგ. ნეიტრალიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკაზე გადასვლა. პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევის სამართლიანი ეროვნული უფლებების აღიარება და საზღვრების პრობლემის გადაჭრა ამ საფუძველზე.

## ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენელმა მოჰამედ იაზიდმა გუშინ გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიის პირველი კომიტეტის თავმჯდომარეს მემორანდუმი ალჟირის პრობლემის მოწესრიგების საკითხზე.

მემორანდუმში გაშუქებულია ისტორია ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლთა შორის მოლაპარაკებისა, რომლის დროსაც ალჟირელი ხალხის წარმომადგენლები ცდილობდნენ, რომ საფრანგეთს ეცნო ალჟირის დამოუკიდებლობისა და დროებითი მთავრობის შექმნის უფლება, რათა მიღწეულ იქნას ცეცხლის მალე შეწყვეტა და დაიწყოს მოლაპარაკება საფრანგეთსა და ალჟირს შორის ურთიერთობის გამოსარკვევად. მაგრამ, ნათქვამია მემორანდუმში, საფრანგეთის მხარის პოზიციამ ცხადყო, რომ საფრანგეთის მთავრობა ჯერ კიდევ შორს არის იმისაგან, რომ ცნოს ალჟირელი ხალხის სუვერენიტეტი და მისი თვითგამორკვევის უფლება. მთელ ჩვენს ცდებს—მიგვეღწია საფრანგეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, სამწუხაროდ, წარმატება არ მოჰყოლია, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება საფრანგეთის მთავრობას.

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲙᲣᲜᲫᲣᲚ ᲢᲐᲘᲕᲐᲜᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის მიერ ტაიბეიდან (კუნძული ტაივანი) გადმოცემული ცნობით, შეერთებული შტატები იწყებენ გუნვანში, კუნძულის ცენტრალურ რაიონში, სამხედრო-საჰაერო ბაზის მშენებლობას, რომელიც 25 მილიონი დოლარი დაჯდება. მშენებლობა დაიწყება 15 თებერვლის შემდეგ.

კორესპონდენტის ცნობით, ბაზის აგებისათვის საჭირო იქნება გუნვანის რაიონის 8 სოფლიდან 8 ათასამდე კაცის გასახლება.

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

�პᲐᲠᲘᲖᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ წერილით მიმართა საფრანგეთის კომუნების მერებს. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აუცილებლად საჭიროა, რათა საფრანგეთმა რაც შეიძლება მალე მოუღოს ბოლო ომს ალჟირში. იქვე ნათქვამია, რომ 20-27 იანვარს მთელ საფრანგეთში მოეწყობა ალჟირში მშვიდობისათვის ბრძოლის კვირეული. სახალხო კრებებზე აირჩევენ დელეგაციებს, რომლებიც ეწვევიან კომუნების მერებს, რათა გააცნონ მათ მოსახლეობის მოთხოვნა შეწყდეს კოლონიური ომი. მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ მოუწოდა მერებს გადასცენ პარლამენტის დეპუტატებსა და ხელისუფალთა წარმომადგენლებს სურვილები და მოთხოვნები, რომლებსაც მშრომელნი გამოთქვამენ ალჟირში მშვიდობისათვის ბრძოლის მომავალი კვირეულის განმავლობაში.

## ᲡᲣᲔᲪᲘᲡ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 4 იანვარი. (საკდესი). ეგვიპტის მენის საგენტოს ცნობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საინფორმაციო ცენტრის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კაირომი გაბაცხადა, რომ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალბერ ფაფაჰ ჰასანმა და იურიდიულმა მრჩეველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან სტავროპულოსმა გუშინ მოახდინეს სუეცის არხის გაწმენდის მოწყობის შესახებ შეთანხმების პროექტის პარაფირება.

ამ შეთანხმებას ხელს მოაწერენ საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ ფაზი, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკშია, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდი.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სუეცის არხის გაწმენდის სამუშაოებს აწარმოებს ეგვიპტის მთავრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ერთად.

## ᲑᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, დასავლეთ გერმანიაში ამ ბოლო დროს გაძლიერდა მილიტარიზმის პროპაგანდა და ომის ფსიქოზის გაღვივება. მილიტარიზმის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ პროპაგანდისტად გამოდის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი, რომელიც ამ პოსტზე მისი დანიშვნის დროიდან ცდილობს დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თითქოს აგრესია მოელოდეს საბჭოთა კავშირის მხრივ.

ახალი წლის დაწყება შტრაუსმა აღნიშნა ახალი მილიტარისტული განცხადებებით დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „დერ შპიგელისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. თავის ინტერვიუს შტრაუსი იწყებს მტკიცებით, რომ „საკმარისია ერთხელ დავხედოთ გლობუსს, რათა დავინახოთ, რომ ერთადერთი პოტენციური მოწინააღმდეგე არის საბჭოთა კავშირი პლუს მისი მომხრეები...“

შტრაუსმა გაამყარა, რომ დასავლეთ გერმანიის არმიის რიცხვმა შეიძლება გადააჭარბოს პარიზის შეთანხმებებით დაწესებულ მაქსიმალურ ციფრს — 500 ათას კაცს.

მან განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უკვე მიიღო დასავლეთის სახელმწიფოებისაგან 1.100 ტანკი, მაგრამ, აღნიშნა შტრაუსმა, კიდევ იქნება შესყიდული „იმდენი ტანკი, რამდენიც საჭიროა“. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და სხვა ქვეყნებიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მიიღებს საარტილერიო ქვემეხებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა კვლავ დაადასტურა თავისი მოთხოვნა ნატოს და, მაშასადამე, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ატომური იარაღით აღჭურვის შესახებ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: სკოლის ახალი შენობა გორის ბამბეულის კომბინატის მუშათა დასახლების უბანში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ

გზათა სამინისტროს განკარგულებით მიმდინარე წლის ზამთარში საბჭოთა კავშირის რკინიგზებზე შემოღებულ იქნა მატარებელთა მოძრაობის საზამთრო გრაფიკი, რომელიც დამუშავებულია იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახალხო-სამეურნეო ტვირთნიდვის გეგმების შესრულება.

ახალი გრაფიკით საზაფხულო გრაფიკთან შედარებით საგრძნობლად გადიდდა მატარებელთა მოძრაობის სისწრაფე და ლოკომოტივთა სადღეღამისო გარბენა. ოჩამჩირე-ქვეზანისა და სოხუმ-გაგრის გადასარბენებზე შემოღებულ იქნა სამგზავრო ელექტრომატარებლების ყოველდღიური მოძრაობა. დამატებითი საგარეუბნო მატარებლები დადიან თბილისი-ხაშურის, სოხუმ-ცხაკაიას, გორი-სტალინირის გადასარბენებზე.

სწრაფი მატარებელი თბილისი-მოსკოვი ყოველდღიურად გადის თბილისიდან მოსკოვისაკენ 18 საათსა და 50 წუთზე (მოსკოვის დროით) ნაცვლად 20 საათისა და 20 წუთისა, ხოლო თბილისში ჩამოდის 10 საათსა და 55 წუთზე ნაცვლად 9 საათისა და 25 წუთისა. სოჭის მატარებლის თბილისიდან გასვლის დრო არ შეცვლილა. თბილისში კი ეს მატარებელი ჩამოდის ყოველდღე 8 საათსა და 44 წუთზე ნაცვლად 7 საათისა და 33 წუთისა. როსტოვის მატარებელი თბილისიდან გადის 15 წუთით ადრე, ე. ი. 19 საათსა და 15 წუთზე. თბილისი-ბაქოს, თბილისი-ერევნის და სხვა მატარებლების გასვლის დრო არ შეცვლილა.

თბილისის 89-ე საბავშვო ბაღში, ნაძვის ხესთან.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ «ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ» № 12

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 12.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — საბჭოთა დემოკრატიის ცხოველმყოფელი ძალა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მასალები — ვ. ი. ლენინის გამოუქვეყნებელი წერილები გ. ვ. პლეხანოვისადმი.

**სტატიები:** კ. აქბარდია — მარქსიზმის გამოჩენილი პროპაგანდისტი; ვ. კიკნაძე — დიდი გამარჯვება მოსკოვთან; კ. ტოტოჩავა — ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევის შესახებ; ნ. ლომსაძე — სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა საკითხისათვის.

**პარტიული ცხოვრების განყოფილებაში** დაბეჭდილია შემდეგი მასალები: ს. ლეჟავა — შეუნელებელი ყურადღება კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებას; ა. ბლრციანი — პარტიის რაიკომი და მეცხოველეობის განვითარების საკითხები.

**განყოფილებაში — პასუხი შეკითხვებზე** დაბეჭდილია — ღია პარტიული კრება; რა არის პრაგმატიზმი?

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია: შ. რევიშვილი — მოგონებები მარქსსა და ენგელსზე.

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე პარტიული ქრონიკა და 1956 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების საძიებელი.

## ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

9 იანვარს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების წევრის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის თეოდორე ილიასაძე ოიზერმანის (მოსკოვი) საჯარო ლექციას თემაზე: „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითადი ნიშნები“.

**რედაქტორი გ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.**

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲔᲡᲮᲘ (1952 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ)

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

**მოგებათა მე-8 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 30 დეკემბერს ქალაქ ვინიცაში.**

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 120071 | 50*) | 1 000 | 123081 | 48*) | 1.000 | 126352 | 1—50 | 500 | 130509 | 37*) | 1.000 | 133847 | 1—50 | 500 | 137167 | 04*) | 1.000 |
| 120081 | 1—50 | 500 | 123139 | 1—50 | 200 | 126467 | 07*) | 1.000 | 130526 | 32*) | 1.000 | 133896 | 1—50 | 200 | 137276 | 20*) | 1.000 |
| 120133 | 50*) | 1.000 | 123191 | 1—50 | 200 | 126469 | 14*) | 1.000 | 130574 | 06*) | 1.000 | 133906 | 50*) | 1.000 | 137373 | 06*) | 1.000 |
| 120189 | 1—50 | 200 | 123289 | 1—50 | 200 | 126705 | 13*) | 1.000 | 130595 | 41*) | 1.000 | 134049 | 01*) | 5.000 | 137420 | 03*) | 1.000 |
| 120203 | 1—50 | 200 | 123388 | 1—50 | 200 | 126794 | 18*) | 1.000 | 130654 | 1—50 | 200 | 134267 | 26*) | 1.000 | 137443 | 27*) | 1.000 |
| 120213 | 01*) | 1.000 | 123550 | 31*) | 10 000 | 126946 | 1—50 | 200 | 130665 | 28*) | 1.000 | 134442 | 42*) | 10.000 | 137455 | 05*) | 1.000 |
| 120334 | 47*) | 1.000 | 123588 | 1—50 | 200 | 126976 | 36*) | 1.000 | 130774 | 1—50 | 500 | 134481 | 38*) | 1.000 | 137588 | 1—50 | 200 |
| 120531 | 1—50 | 200 | 123609 | 34*) | 1.000 | 127386 | 15*) | 1.000 | 130791 | 1—50 | 200 | 134521 | 1—50 | 200 | 138300 | 29*) | 1.000 |
| 120535 | 50*) | 1.000 | 123684 | 1—50 | 200 | 127560 | 1—50 | 200 | 130870 | 1—50 | 200 | 134827 | 1—50 | 200 | 138567 | 1—50 | 200 |
| 120610 | 31*) | 1.000 | 123854 | 1—50 | 200 | 127740 | 29*) | 1.000 | 130929 | 12*) | 1.000 | 134834 | 05*) | 1.000 | 138595 | 23*) | 1.000 |
| 120699 | 47*) | 5.000 | 123856 | 1—50 | 500 | 127815 | 1—50 | 200 | 131164 | 1—50 | 200 | 134882 | 30*) | 1.000 | 138706 | 10*) | 1.000 |
| 120826 | 31*) | 1.000 | 124006 | 17*) | 1.000 | 128195 | 1—50 | 200 | 131271 | 02*) | 1.000 | 134921 | 30*) | 1.000 | 138795 | 05*) | 5.000 |
| 120902 | 17*) | 1.000 | 124097 | 1—50 | 500 | 128311 | 45*) | 1.000 | 131312 | 45*) | 1.000 | 134925 | 1—50 | 200 | 138815 | 1—50 | 500 |
| 121270 | 1—50 | 200 | 124418 | 44*) | 1.000 | 128321 | 1—50 | 200 | 131362 | 1—50 | 200 | 134939 | 01*) | 1.000 | 138838 | 1—50 | 200 |
| 121289 | 09*) | 1.000 | 124425 | 45*) | 1.000 | 128362 | 26*) | 1.000 | 131421 | 34*) | 1.000 | 135144 | 1—50 | 500 | 138885 | 18*) | 1.000 |
| 121314 | 35*) | 1.000 | 124549 | 47*) | 1.000 | 128401 | 44*) | 1.000 | 131509 | 1—50 | 200 | 135332 | 1—50 | 200 | 138919 | 1—50 | 200 |
| 121648 | 42*) | 1.000 | 124567 | 27*) | 1.000 | 128537 | 31*) | 1.000 | 131755 | 30*) | 1.000 | 135406 | 1—50 | 500 | 138977 | 41*) | 1.000 |
| 121868 | 30*) | 5.000 | 124678 | 30*) | 1.000 | 128827 | 1—50 | 200 | 131859 | 1—50 | 200 | 135415 | 30*) | 1.000 | 139135 | 26*) | 25.000 |
| 121922 | 1—50 | 200 | 124698 | 28*) | 1.000 | 128903 | 46*) | 1.000 | 131945 | 25*) | 1.000 | 135539 | 12*) | 1.000 | 139248 | 42*) | 1.000 |
| 122020 | 42*) | 1.000 | 124984 | 1—50 | 200 | 129059 | 26*) | 5.000 | 131970 | 02*) | 1.000 | 135635 | 43*) | 1.000 | 139406 | 1—50 | 200 |
| 122041 | 30*) | 1.000 | 125018 | 25*) | 1.000 | 129439 | 06*) | 1.000 | 131976 | 45*) | 1.000 | 135757 | 1—50 | 200 | 139607 | 1—50 | 200 |
| 122256 | 37*) | 1.000 | 125130 | 28*) | 1.000 | 129473 | 08*) | 1.000 | 132022 | 33*) | 1.000 | 135964 | 03*) | 10.000 | 139645 | 1—50 | 500 |
| 122497 | 1—50 | 500 | 125251 | 48*) | 1.000 | 129586 | 1—50 | 500 | 132278 | 1—50 | 500 | 136190 | 22*) | 1.000 | 139765 | 16*) | 1.000 |
| 122518 | 32*) | 1.000 | 125343 | 1—50 | 500 | 129696 | 29*) | 10.000 | 132307 | 10*) | 1.000 | 136296 | 37*) | 1.000 | 139932 | 48*) | 5.000 |
| 122546 | 1—50 | 500 | 125485 | 07*) | 5.000 | 129726 | 1—50 | 200 | 132392 | 39*) | 1.000 | 136438 | 10*) | 1.000 | 139941 | 34*) | 1.000 |
| 122562 | 11*) | 1.000 | 125784 | 08*) | 1.000 | 129810 | 10*) | 1.000 | 132730 | 1—50 | 200 | 136666 | 01*) | 1.000 | 139948 | 1—50 | 500 |
| 122565 | 1—50 | 500 | 125796 | 38*) | 5.000 | 130099 | 1—50 | 200 | 132897 | 1—50 | 200 | 136685 | 31*) | 10.000 | 139954 | 47*) | 1.000 |
| 122597 | 30*) | 5.000 | 125815 | 31*) | 5.000 | 130140 | 1—50 | 200 | 133056 | 1—50 | 200 | 136780 | 09*) | 1.000 | 139976 | 30*) | 1.000 |
| 122599 | 1—50 | 500 | 125866 | 31*) | 1.000 | 130366 | 1—50 | 200 | 133074 | 1—50 | 500 | 136899 | 09*) | 1.000 | | | |
| 122849 | 28*) | 1.000 | 126210 | 1—50 | 500 | 130380 | 46*) | 1.000 | 133248 | 1—50 | 200 | 137097 | 18*) | 1.000 | | | |
| 123014 | 11*) | 1.000 | 126316 | 02*) | 1.000 | 130446 | 35*) | 1.000 | 133757 | 28*) | 1.000 | | | | | | |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

ეს ცხრილი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც შემნახველი სალაროები დადგენილი წესით ანაღდებენ მოგებას გაზეთის შემდგომი ნომრის მიღების შემდეგ.

**მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ვინიცის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ს. ᲡᲚᲝᲒᲝᲦᲘᲐᲜᲘᲣᲙᲘ.**

**კომისიის პასუხისმგებელი მდივანი მ. Ა. ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲐ.**

## ᲓᲦᲔᲡ

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

**ოპერისა და ბალეტის** — დაუპატიჟებელი სტუმრები (დილას), დონ-კიხოტი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — გლახის ნაამბობი (დილას), პირველი მერცხლები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მოკვეთილი (დილას), რას იტყვის ხალხი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ვაი ჭკუისაგან (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — ოქროს ქალაქი (დილას), საიათნოვა (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ბრწყინვალე მომავალი (დილას), ლაღი ქარი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (აბონემენტი № 36, 12 ს.), კოკლი მეწისქვილე, (აბონემენტი № 9, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ბიძია თომას ქოხი (11 ს. და 3 